

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 087/15¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ქრისტინე მაისურაძე (სტუდენტი)

1. ფაქტები

ადვოკატი წარმოადგენდა საჩივრის ავტორთა მოწინააღმდეგე მხარეების ინტერესებს მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლებთან დაკავშირებულ დავაში. ადვოკატმა სატელევიზიო ბრიფინგზე გააკეთა განცხადებ, სადაც მოსარჩელები დაადანაშაულა, თითქოსდა სავარაუდოდ მათ თაღლითური გზით, სამკვიდრო მოწმობის გაყალბებით გადაიფორმეს ვერეს ხეობის დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლები.

2. პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიაში მოსარჩელებმა შეიტანეს საჩივარი, რომელშიც ითხოვდნენ ადვოკატის მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინარული დევნა ადვოკატის მიმართ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.გ და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით.

3. სამართლებრივი შეფასება

ადვოკატს, სხვა პირთა მსგავსად მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით, უფლება აქვს „თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებით“, მათ შორის, კლიენტის ინტერესების დაცვისას. ადვოკატის უფლებაა გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება კლიენტის ინტერესების დასაცავად, მათ შორის გააკეთოს საჯარო განცხადება კლიენტის საქმესთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების თაობაზე.

ადვოკატი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას ვალდებულია, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე მის გარეთ, მათ შორის კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, საჯარო განცხადების გაკეთებისას, დაიცვას გამოხატვის თავისუფლების ფარგლები და ეთიკური ვალდებულებები კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორთა მოხსენიება, როგორც არის - „თაღლითური გზით“, „სამკვიდრო მოწმობის გაყალბებით სავარაუდოდ...“, არ სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლების ზღვარს და არ წარმოადგენს ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვასა და ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარეთა უფლებების შელახვას. მოცემული სატელევიზიო განცხადება შესაძლოა არ იყოს მისაღები საჩივრის ავტორებისა და მათი წარმომადგენლებისათვის, მაგრამ ის არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს მოწინააღმდეგე მხარეთა ღირსების შელახვას.

4. დასკვნა

¹ <https://gba.ge/pdf/5c472166c1761.pdf/5c472166c1761.pdf>

ეთიკის კომისიამ არ დაადგინა ადვოკატის მხრიდან მოწინააღმდეგე მხარის უფლებების შელახვისა და უპატივცემულობის გამოხატვის ფაქტი და ადვოკატს არ დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.